პროლეტარებო ყველა ქვეყნიხა, შეერთდით!

ამიერკავკასიის რკინიგზელი

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, პოლიტგანყოფილების და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ორგანო
«Железнодорожник Закавказья» — орган управления, политотдела и дорпрофсожа Закавказской железной дороги.

მაგათი 24 მარტი 1956 წელი
№ 36 (4498)
ფასი 15 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიბლიოთეკა

მეექვსე ხუთწლედში საბინაო მშენებლობის მოცულობა თითქმის ერთიორად გადიდდება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა იმ სახსრების სწორი ხარჯვა, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფომ ბინების მშენებლობისათვის გამოჰყო.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.)

სრულად გამოვიყენოთ ტექნიკა!

ხუთწლედის მთავარი [illegible] არის, რომ უზრუნ[illegible]�ეს სახალხო მეუ[illegible] დარგის მძლავრი [illegible] ეკონომიკურ საფუძველზე სასო[illegible] წარმოების [illegible] ეფექტურობა და ამის საშუალებად იქნას საბ[illegible] მატერიალური კე[illegible] და კულტურული [illegible] ამაღლება. [illegible] საწარმოო ძალების [illegible] განვითარება შეუძ[illegible] ამავე დროს, ტექნი[illegible] ტრანსპო[illegible] ამიტომ სკკპ XX [illegible] ეფექტივებში მეექვ[illegible] ბინების შესახებ [illegible] ტრანსპორტს დიდი [illegible] დათმობილი.

[illegible] ყრილობის ისტორი[illegible] ლებათა წარმა[illegible] ფოლადის [illegible] შრომელებს შეუ[illegible] ტექნიკის ყოველი [illegible] დანერგვის, არსე[illegible] და მექანიზმების [illegible] გამოყენების ბა[illegible]

[illegible] კინიგზელთა [illegible] დაუღალა[illegible] მდიდარი ტექნი[illegible] ონისძიებით გამო[illegible] რომლითაც საკმაო [illegible] აღჭურვილი ჩვე[illegible] ტექნიკა უნდა [illegible] სრულად, გამოვწუ[illegible] ყელაფერი, რისი მო[illegible] შეიძლია.

[illegible] მემანქანეთა მო[illegible] ვლინა მატარებე[illegible] ბის, ლოკო[illegible] ვის სიმძლავრეთა [illegible] დიდი რეზერვები. [illegible] ამიერკავკასიის [illegible] თვართო გაქანება [illegible] ჩვენი გაზეთი [illegible] იმის შესახებ, რომ [illegible] ლმავლო დეპოს მე[illegible] ბოგვერაძემ ერთ [illegible] 3.529 ტონა [illegible] ნორმის ზევით. ეს ელმა[illegible] ნების შესანიშნავი [illegible] მაგრამ ამ რეკორდი[illegible] ნებით დარღვეულ [illegible] ტორტო კონვეიერის [illegible] ები. სანამ ამ მატა[illegible] ვნდნენ ხაშურში, სა[illegible] ლებთან გადა[illegible] რამდენიმე მატარე[illegible] როცა მძიმეწონიანი [illegible] ჩამოყვანილ იქნა [illegible] მისმა მოსვლამ რამ[illegible] შეაფერხა სატვირ[illegible] მუშაობა.

საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ ელმავლების რაციონალურად გამოყენებისათვის. სკკპ XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია ელმავლების საშუალო- სადღეღამისო გარბენა გადიდდეს 550 კილომეტრამდე. მაგრამ ამ საზომის შესრულებაში ამიერკავკასიის რკინიგზა მნიშვნელოვნად ჩამორჩება, ამჟამად ელმავლების საშუალო - სადღეღამისო გარბენა ჩვენს მაგისტრალზე არ აღემატება 330-340 კილომეტრს. სალოკომოტივო სამსახურის ხელმძღვანელებმა და მისმა უფროსმა ამხ. კაკაბაძემ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

არსებულ ტექნიკას არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მელიანდაგეები. ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალი დისტანცია კარგადაა აღჭურვილი მექანიზმებით. მაგრამ მელიანდაგეები ამჯობინებენ ძველებურად მუშაობას, იყენებენ ნიჩბებსა და წერაქვებს. კიდევ მეტი, ახალი ტექნიკის დანერგვა არ იძლევა მოსალოდნელ შედეგებს, რადგანაც იწვევს შტატის გადიდებას მოწყობილობათა მომსახურებისათვის, ხოლო ათავისუფლებს მუშა-ხელის უმნიშვნელო რაოდენობას. სამსახურის უფროსმა ამხ. ახალაცმა და მთავარმა ინჟინერმა ამხ. კოროლკოვმა უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება ტექნიკის გამოყენებისადმი.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მრავალი ნაკლოვანებაა ისეთ მსხვილ საწარმოში, როგორიცაა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, როგორც აღინიშნა ამ დღეებში ქ. თბილისის ლენინის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე, ამ საწარმოში სამუშაოთა 80 პროცენტი ხელით სრულდება.

მეექვსე ხუთწლედი უნდა გახდეს სახალხო მეურნეობის, მათ შორის რკინიგზის ტრანსპორტის, წარმოების უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე გადასვლის ხუთწლედი. პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი მაგისტრალის რკინიგზელები აღსავსენი არიან გადაწყვეტილებით არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმა.

ᲞᲐᲠᲬᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲝᲑᲐ

მემანქანე შ. კაკალაშვილმა ხაშური — თბილისის უბანზე ნორმის ზევით გადაზიდა 4.500 ტონა ტვირთი

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა 1956 წლის იანვარი-თებერვალი საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა. საშუალო - სადღეღამისო გარბენის ნორმა შესრულდა საშუალოდ 102 პროცენტით, ტექნიკური სიჩქარისა — 103 პროცენტით. ელექტრომოძრავი შემადგენლობის აწევითი შეკეთების გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით.

1956 წლის პირველ თვეებში მძიმეწონიან მატარებელთა სარეკორდო რეისებით განსაკუთრებით ისახელეს თავი მემანქანეებმა ამხანაგებმა ლიკლიკაძემ, დემეტრაშვილმა, ჩახუნაშვილმა. ხაშური - თბილისის უბანზე მემანქანე შ. კაკალაშვილმა და მისმა თანაშემწემ მ. ჯანეზაშვილმა 17 მარტს გაატარეს უმაგალითო წონის მატარებელი, რომელიც 4.500 ტონით აღემატებოდა ნორმას.

მოტორვაგონთა სექციების საამქროს ზეინკალმა ი. ლუციუკმა წევის ძრავების გასინჯვის დროს ზეთის ისეთი სერიოზული ნაკლოვანება აღმოაჩინა, რომელსაც შეეძლო მწყობრიდან გამოეყვანა მთელი წევის ძრავი.

ხარატმა რ. იაკოვლევმა, რომელიც სულ ორი კვირაა რაც ჩვენს დეპოში მუშაობს, უკვე შეიტანა საქმიანი წინადადება, რამაც გააიოლა მოტორვაგონთა სექციების ზედასადგრების გასუფთავების პროცესი აწევითი შეკეთების დროს. ეს წინადადება წელიწადში 5 ათასამდე მანეთის ეკონომიას მოგვცემს.

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი იანვარსა და თებერვალში გამარჯვებულად იქნა ცნობილი საგზაო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. დეპოს მუშაკები დარწმუნებული არიან, რომ ამ დროშას მარტშიც შეინარჩუნებენ.

ახლახან დეპოში შედგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ XX ყრილობის შედეგებს. პარტიის ლენინის რაიკომის მდივნის ამხ. ნინოშვილის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. მეელმავლეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები.

კომკავშირულ - ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ჩიკვაიძემ ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა ყოველთვიური დავალება 250 პროცენტით შეასრულოს. შემდეგ ელი ამხ. გურგენიძე დაწვრილებით შეჩერდა იმ სიახლეებზე, რომლებიც უახლოეს დროში განხორციელდება შემკეთებელ - დამამზადებელ საამქროში. მან განაცხადა, რომ ამ საამქროს მუშაკები 1956 წელს 10 რაციონალიზატორულ წინადადებას შეიტანენ. გარდა ამისა, გადაწყვეტილია მთლიანად გამოიყენონ მცირე მექანიზაცია და ახალი ტექნიკის მიღწევები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მაქსიმალურად იქნას მექანიზებული შრომატევადი სამუშაოები.

საამქროს მუშაკთა სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება. მათ უკვე შეიტანეს ორი რაციონალიზატორული წინადადება და ერთი მათგანი დაინერგა წარმოებაში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საამქროს ოსტატი ამხ. ჩიტაიშვილი, დეპოს უფროსის მოადგილე ამხ. ჯაფარაშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ჩაგანავა და სხვები. ისინი მოუწოდებდნენ დეპოს მუშაკებს სავსებით აღკვეთონ საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, კიდევ უფრო აამაღლონ შრომის ნაყოფიერება. დეპოს კოლექტივმა დასახა ლონისძიებანი, რომლებშიაც გათვალისწინებულია მძიმეწონოსან მემანქანეთა მოძრაობის შემდგომი განვითარება, ჩარხების პარკის განახლება, ახალი ტექნიკის ყოველმხრივი დანერგვა, დეპოს სასადილოსა და მაღაზიის მუშაობის გაუმჯობესება.

ლ. ᲖᲝᲠᲘᲐᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲒᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ენერგომომარაგების სოხუმის უბნის მუშაკები წარმატებით შრომობენ. განსაკუთრებით გამოირჩევა სარემონტო - სარეგვიზიო საამქროს კოლექტივი, რომელსაც ბ. სეისიანი ხელმძღვანელობს. საკონტროლო კაბელების დამონტაჟების გეგმა საამქრომ 168 პროცენტით შეასრულა. მაღალი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ოჩამჩირის ქვესადგურის ოსტატსა და მონტიორს ვ. სიგიდას და ტ. ესაიაშვილს, ინგირის დისტანციის მონტიორს ი. იზორიას.

ამას წინათ გზის უფროსის ბრძანებით ენერგომომარაგებისა და საკონტაქტო ქსელის მოწინავე მუშაკები ო. ჯინჭარაძე, ტ. ესაიაშვილი, ა. შენგელია და სხვები დაჯილდოებულ იქნენ ნიშნით „სტალინური გაწევების დამკვრელს“. მთელმა რიგმა მუშაკებმა ფულადი პრემია მიიღეს.

თებერვალში ენერგომომარაგების უბნის კოლექტივი მეორე ადგილზე გამოვიდა საგზაო შეჯიბრებაში და ახლა პირველობისათვის იბრძვის.

ო. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ

ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲔᲡ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲓᲔᲜᲐ

თუმანიანის სადგურის კოლექტივი წარმატებით იბრძვის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. გაითვალისწინეს რა თავიანთი რეალური შესაძლებლობანი, რკინიგზელებმა გადაწყვიტეს ვაგონების მოცდენა შეამცირონ ნორმასთან შედარებით ერთი საათით. ისინი ვალდებულებას პირნათლად ასრულებენ. იანვარსა და თებერვალში თუმანიანის სადგურის მოძრაობის მუშაკებმა მიაღწიეს ვაგონების მოცდენის 1,5 საათით შემცირებას.

წარმატებით გადალახა რა ზამთრის სიძნელეები, სადგურის კოლექტივი ზუსტად და შეწყობილად მუშაობს, უზრუნველყოფს მატარებელთა უშიშარ და შეუფერხებელ გატარებას, გადაჭარბებით ასრულებს დატვირთვისა და გადმოტვირთვის დავალებებს.

მ. ᲛᲐᲪᲐᲙᲘᲐᲜᲘ
თუმანიანის სადგურის მორიგე

ᲛᲔᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

იბრძვის რა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი აღფრთოვანებით შრომობს ხაშურის სალიანდაგო დისტანციის სახელოსნოს კოლექტივი. მარტის პირველი ნახევრის გეგმა მელიანდაგეებმა შეასრულეს 177 პროცენტით. დავალების ზევით დამზადებულია მრავალი გაქცევის საწინააღმდეგო მოწყობილობა, ომბოხო, ჭანჭიკი, ქვესადები.

ზეინკალმა ა. ქარსანაშვილმა, შემდეგებელმა გ. გვენეტაძემ, დამხმარე მუშამ ს. კვინიკაძემ და სხვა მოწინავე მელიანდაგეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ნორმები. წარმატებით შრომობენ აგრეთვე მჭედლები ს. ტაბატაძე, ტ. ქარაბაშვილი და ა. გრძელავა.

სახელოსნოს კოლექტივმა გადაწყვიტა ვადამდე შეასრულოს კვარტალური გეგმა.

დ. ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲗᲔᲒᲨᲘ

მაგნიტოგორსკიდან მეექვსე ხუთწლედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მისი მშენებლობის შემდეგ მაგნიტოგორსკის რკინიგზის მსხვილი [illegible]. აქ გავლით წავა [illegible] ბის პროდუქტების ქვანახშირი, უა[illegible] ლის მოყვანილი პური. [illegible] ონი მიიღებს მეორე გასასვლელს და მისი გზა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში შემცირდება 500 კილომეტრით. ახალი გზა გადასერავს სამხრეთ ურალის მდიდარ რაიონებს.

სამხრეთ- ციმბირის მაგისტრალის უმნიშვნელოვანესი უბნის მშენებელთა კოლექტივი თავდადებით იბრძვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

პ ა რ ტ ი

„საქმე ეხება იმას, რომ პარტიული მუშაობა მიზნათ ისახავდეს მასების ორგანიზებასა და აღზრდას, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, სოციალისტური მეურნეობის განუწყვეტელ ზრდას, საბჭოთა ხალხის მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, მისი კულტურის ამაღლებას“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან პარტიის XX ყრილობისადმი)

მეტი დახმარება პროპაგანდისტებს

საინტერესოდ, შინაარსიანად მიმდინარეობს ხიდების მშენებელი № 61 მატარებლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობა.

პროპაგანდისტი ამხ. კარამანი გასაგებად განუმარტავს მსმენელებს სკკპ XX ყრილობის მასალებს, ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს უკავშირებს ხიდების მშენებელთა და სხვა რკინიგზელთა კონკრეტულ ამოცანებს.

წრის ხელმძღვანელი წარმატებით იყენებს თვალსაჩინო აგიტაციას. მაგალითად, უკანასკნელ მეცადინეობებზე ამხ. კარამანმა მსმენელებს უჩვენა საკუთარი ხელით დამზადებული იმ მშენებლობათა დიაგრამები, რომლებიც დასახულია მეექვსე ხუთწლედში. იმავდროულად იგი ფართოდ იყენებს გეოგრაფიულ რუკებს. მსმენელები რუკაზე პოულობენ იმ რაიონებს, სადაც აშენდება ახალი რკინიგზები.

არის დიაგრამა, რომელიც ელმავლისა და თბომავლის ფონზე უჩვენებს, თუ სხვადასხვა ტიპის რამდენი ლოკომოტივის გამოშვებაა დასახული ხუთწლედში და სხვა დიაგრამები.

ერთი დიაგრამა თვალსაჩინოდ გამოხატავს უცხოეთის დელეგაციების რაოდენობას, რომლებიც 1954-1955 წლებში იყვნენ სსრკავშირში.

წრის თვითეულ მეცადინეობაზე პროპაგანდისტი აკეთებს საერთაშორისო მოვლენების მოკლე მიმოხილვას, აუდიტორიას აჩვევს გაზეთების აქტიურ კითხვას, ფაქტების ანალიზსა და განზოგადებას.

ხიდების მატარებლის ბრიგადირი, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ოფიცერი ამხ. კარამანი მეტად სერიოზულად ეკიდება თავის საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებას, ისწრაფვის პროპაგანდისტული მუშაობა ჩაატაროს ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებით.

სამწუხაროდ ხიდების მატარებლის პარტიული ორგანიზაცია სუსტად ეხმარება პროპაგანდისტს: კონტროლს არ უწევს წრის მუშაობას და კონკრეტულ ზომებს არ ღებულობს მეცადინეობის გამცდენი მსმენელების, კერძოდ კომუნისტი ამხანაგების გონჩაროვას, გევორქიანისა და სხვების წინააღმდეგ.

არასწორი პოზიცია უკავია პარტიულ ბიუროს კომკავშირის კომიტეტის მიმართ, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის პოლიტიკურ განათლებას. ამას წინათ, იხილავდა რა საკითხს კომკავშირელ ამხ. კასპშაკოვას შესახებ, რომელიც მეცადინეობას არ ესწრება, კომიტეტმა დაადგინა... დაევალოს ერთ-ერთ კომუნისტს შეფობა აიღოს მასზე. მეორე შემთხვევაში კომიტეტმა გადაწყვიტა უთაური მსმენელის შესახებ საკითხი განსახილველად გადაცემოდა პარტიულ ბიუროს.

არც პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ბეკტაშიანი, არც უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში ამხ. გარა არ გამოხმაურებია ამ არასწორ გადაწყვეტილებებს.

პოლიტიკური განათლება პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია, იგი მოითხოვს პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ ყურადღებას.

ა. ჩადრანოვი